ოქმი:**ო37. 3726120001**

თარიღი:**30/04/2026**

# ოქმი N 8

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2026 წელი, 29 აპრილი

ქ. ოზურგეთი

11:00-12 :30 საათი

**თავმჯდომარეობდა:** დავით დარჩია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

**ესწრებოდნენ:** საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე- დ.კიკვაძე; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ტ. არუშიძე; საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, მ. ჩხიკვიშვილი, ბ. თოიძე, ტ. ბარამიძე; საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეები: ქ. ხომერიკი, დ. ხურციძე, ე. გორდელაძე.

საკრებულოს წევრები:თ. ბადალასვილი, ნ. ჭანიშვილი, თ. ქავთარია, ვლ. ხავთასი, ხ. ცერცვაძე, ნ. ურუშაძე, გ. კალანდაძე, ნ. ნადირაშვილი, გ. ხიდიბეგიშვილი, გ. გაბისიანი, ქ. ვასაძე, მ. ცქვიტინიძე, ი. ჩიკაშუა, დ. ასათიანი, ი. დობორჯგინიძე, ნ. გობრონიძე, ლ. კილაძე, ლ. მესხი, მ. ცქვიტიშვილი, დ. თოიძე, ც. ცინცაძე, გ. კილაძე, ქ. კვაჭანტირაძე, ზ. მორჩილაძე, ზ. სალუქვაძე, ლ. ქვილორია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე. საკრებულოს 46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა-39-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, შემდეგ გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი, რომლის დამტკიცებამდე საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ ითხოვა სხდომის დღის წესრიგიდან N5 საკითხის ამოღება დამატებითი შესწავლის მიზნით, რაზეც საკრებულომ თანხმობა განაცხადა, სხდომის დღის წესრიგი, შესაბამისი ცვლილებით, დამტკიცდა 39 -ხმით.

## დღის წესრიგი

9.1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილებისა და კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე**

**მარიკა ჩხიკვშვილი**

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 39- ხმით

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მხარს უჭერს პროექტის დამტკიცებას.

15.2. „ქალაქ ოზურგეთში საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომნხსენებელი: თემურ მურვანიძე**

**დავით ჭაკნელიძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 39- ხმით

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მხარს უჭერს პროექტის დამტკიცებას.

16.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე “- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ბექა ჩხიკვიშვილი**

**ბექა თოიძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 39- ხმით

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მხარს უჭერს პროექტის დამტკიცებას.

17.4.. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დვაბზუს ადმინისტრაციულ ერთეულში(ს/კ 26.19.15.178) მდებარე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე”- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ბექა ჩხიკვიშვილი**

**ბექა თოიძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 39- ხმით

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მხარს უჭერს პროექტის დამტკიცებას.

18.5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია**

**გელა ჩავლეშვილი**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 39- ხმით

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მხარს უჭერს პროექტის დამტკიცებას.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო’ თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა განაცხადა, რომ საკრებულომ განიხილა მნიშვნელოვანი საკითხი, მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, ბიუჯეტი ძირითადი პარამეტრების მიხედვით შესრულებულია, ზოგიერთ სახეობებში გადაჭარბებითაც, რაც პირდაპირ აისახება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებაზე, ფრაქციამ განიხილა ანგარიში და მხარს უჭერს მის დამტკიცებას, ამასთან გამოთქვა იმედი, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები უკეთესი იქნება.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. კიკვაძემ N 6 საკითხზე მოხსენებისათვის სიტყვა მისცა საკრებულოს თავმჯდომარეს დ. დარჩიას.

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2025 წელში გაწეული მუშაობის თაობაზე -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დავით დარჩიას ანგარიშის მოსმენის, შეფასებისა და ცნობად მიღების შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დ. კიკვაძის წინადადებით ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო’ თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი ანგარიში საუკეთესოა, კონკრეტულად ასახავს საკრებულოს მიერ 2015 წელში გაწეულ საქმიანობას, მიღწეულ შედეგებს, ყოვლისმომცველი და გამჭვირვალეა, ნათელყოფს იმ სერიოზუ მიღწევებს, რომელი 2025 წელში მუნიციპალიტეტში განხორციელდა, მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს დ. დარჩიას და მთლიანად საკრებულოს გაწეული მუშაობისათვის და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.

12.30-საათზე გამოცხადდა 30-წუთიანი შესვენება. სხდომა განახლდა 13.00-საათზე, ხელახალი რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32 -წევრმა.

7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2025 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის, შეფასებისა და ცნობად მიღების შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი**

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

8. ოზურთგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფასტრუქტურის კომისიის მიერ 2025 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის, შეფასებისა და ცნობად მიღების შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი; დავით ჭაკნელიძე**

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

9.. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის მიერ 2025 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის, შეფასებისა და ცნობად მიღების შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი; ბექა თოიძე**

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

10. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2025 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის, შეფასებისა და ცნობად მიღების შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი; ტატა ბარამიძე**

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

11. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2025 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის, შეფასებისა და ცნობად მიღების შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი**

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

13. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო’ თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა საკრებულოს თავმჯდომარეს დ. დარჩიას და

საკრებულოს გაწეული საქმიანობისათვის, მიუსამძიმრა მუნიციპალიტეტის და სოფელ შემოქმედის მოსახლეობას ახალგაზრდა ადამიანის ტრაგიკულად დაღუპვის გამო, მოკლედ აღნიშნა აწ გარდაცვლილი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ღვაწლზე ქვეყნის წინაშე, ხაზი გაუსვა საქართველოს ხელისუფლების განუხრელ ზრუნვას ქვეყნის ხანგრძლივი მშვიდობიანი განვითარების უზრუნველყოფისათვის.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი